ოქმი N 2

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ქ. ზესტაფონი 27 მარტი 2023 წელი
დას.12.00 სთ.

2023 წლის 27 მარტს გაიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას თამჯდომარეობდა: ი. ფუტკარაძე – კომისიის თავმჯდომარე;

კომისიის წევრები: თ. მაღლაკელიძე, ვ. კამლაძე, ე. ბოგვერაძე, ი. კვეტენაძე, მ. კურტანიძე, რ. მახათაძე, დ. ფერაძე, ო. მაღლაკელიძე, ბ. ჩუბინიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი: მალხაზ მაჭავარიანი.

დღის წესრიგი:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

(მომხსენებელი მ. პაიჭაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული მომსახურეობისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი)

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვალითში ქუჩისათვის დავით გველესიანის სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი მ. პაიჭაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული მომსახურეობისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი)

ერთხმად დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

(მომხსენებელი მ. პაიჭაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული მომსახურეობისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 20 მარტის 22-222307918 მომართვა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში..

ყველა კომისიის წევრის მხარდაჭერით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვალითში ქუჩისათვის დავით გველესიანის სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი მ. პაიჭაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული მომსახურეობისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 16 მარტის 22-2223075157 მომართვა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვალითში ქუჩისათვის დავით გველესიანის სახელის მინიჭების შესახებ.

ი. ფუტკარაძე-(იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტში, უსახელო ქუჩა, რომელსაც უნდა მიენიჭოს დავით გველესიანი, მოიცავს ორი სოფლის ტერიტორიას. ამდენად, კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილი რუკის კორექტირება. მან კომისიის წევრებს წარმოუდგინა რუკის შესწორებული ვარიანტი, რომელიც მოიცავს სოფელ ქვედა კვალითის გზის მონაკვეთს.

აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა მომხსენებელი მაია პაიჭაძე და კომისიის წევრები.

კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, აღნიშნული საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

ამით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე **ილია ფუტკარაძე**